ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სანოტარო აქტი
მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

დღეს, ორიათას თოთხმეტი წლის ოთხ მარტს, მე, ნოტარიუს **ნინო ხოფერიას,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №28\2 მომმართა **შპს „თოუ დეველოპმენტი“-ს დირექტორმა გიორგი ამილახვარმა** (დაბ. 01.01.1984წ. მცხ. **თბილისი ე.ტატიშვილის ქ. N 20**; პირადი № 01031004071) თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან მომზადებული 05/11/2013წ. საიდენტიფიკაციო კოდი **404459386** – რომელმაც განაცხადა, რომ სურთ მინდობილობის შედგენა **შპს „ჰაუსარტ პროჯექტი„ (ს.კ. 205258978) დირექტორის** ირაკლი ჩირაძის (დაბ. 06.02.1968წ. მცხ. თბილისი ლ.შარაშიძის ქ. N 6; პირადი №01017022486) მიმართ, რათა იგი იყოს **შპს „თოუ დეველოპმენტი“-ს** (ს.კ. **404459386**) წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან-არქიტექტურის სამსახურთან (შემდგომში-სააგენტოსთან) და მერიის სხვა ნებისმიერ ორგანოებთან ურთიერთობაში;
უზრუნველყოს დადგენილი წესით სამშენებლო მიწის (მდებარე: ქალაქი თბილის, ქუჩა უნივერსიტეტი, №2; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.14.06.008.125) გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის მიღება და კანონმდებლობით დადგენილი წესით მათში ცვლილებების შეტანა.
შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს შუამდგომლობები, ჩაიბაროს გადაწყვეტილებები ან სხვა სახის დოკუმენტები, მისცეს სააგენტოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი.
გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილებები;
წარადგინოს და ხელი მოაწეროს მორიგების აქტს განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, უარი თქვას გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე;
განახორციელოსყველა სხვა მოქმედება,რაც საჭიროა წინამდებარე მინდობილობაში მოცემული დავალების შესასრულებლად, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და დაკავშირებული იქნება ამ დავალებების განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მე, ნოტარიუსმა, შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა და შევადგინე წინამდებარე მინდობილობა ქართულ ენაზე, რომელიც წაეკითხა მხარეს ხმამაღლა ქართულ ენაზე, მხარეს გავაცანი აღნიშნული მოქმედების შესაბამისი სამოქალაქო კოდექსის ნორმები. რაზედაც მან განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ მინდობილობას.
მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუს ნინო ხოფერიას არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარი გადაეცა მხარეს.
სანოტარო საზღაური - 10 (ათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. №507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31-სა, პ.7, აგრეთვე დღგ (18%) თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად - სულ გადახდილია 13.80 (ცამეტი ლარი და 80 თეთრი) ლარი.

მხარე: _____


ნოტარიუსი: /ნ. ხოფერია/
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 28/2

http://notary.naprvpn/notary/CoverPage.do?variant=2&actId=14103306

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

64270238629814

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140188724

რეგისტრაციის თარიღი

04.03.2014 წ

ნოტარიუსი: ნინო ხოფერია
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
ტელეფონი: +995 32 2 98 70 24

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18